კითხვის მატარებელი

მოსწავლეები, მატარებლის ვაგონების მსგავსად, ერთ მწკრივში დგებიან და მიმდევრობით აგრძელებენ ერთი და იმავე ტექსტის კითხვას.



კლასი: III-VI

მუშაობის ფორმა: ჯგუფები.

რესურსი: ტექსტი/წიგნი/სახელმძღვანელო მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

მსვლელობა:

- მოსწავლეები, მატარებლის მსგავსად, დგებიან ერთ რიგად. თითოეულ მოსწავლეს უჭირავს ერთი და იგივე ტექსტი.
- მასწავლებლის მითითებით (ტაშის დაკვრა, სასტვენი და ა.შ.) პირველი მოსწავლე იწყებს ტექსტის ხმამაღლა კითხვას, დანარჩენები ყურადღებით უსმენენ მას და თვალს ადევნებენ ტექსტს.
- მასწავლებლის შემდეგ სიგნალზე მკითხველი წყვეტს კითხვას, გადადის რიგის ბოლოს და კითხვას განაგრძობს მეორე მოსწავლე. თუ მოსწავლე ვერ შეძლებს ტექსტის სათანადო ადგილიდან გაგრძელებას ან შეცდომით ამოიკითხავს სიტყვას, ეთიშება თამაშს.
- თუ ტექსტი დასრულდა, მოსწავლეები ხელახლა იწყებენ მის წაკითხვას. ასე გრძელდება მანამ, სანამ მატარებელში მხოლოდ უშეცდომოდ მკითხველი მოსწავლეები არ დარჩებიან.